საქართველო

4191-01-2-201602051039

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/4191
09/02/2016

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ვაცნობებთ, რომ სლოვაკეთის რესპუბლიკის ეროვნული სასტიპენდიო პროგრამა ავტადგენს, სლოვაკეთის რესპუბლიკის უნივერსიტეტებში და კვლევით დაწესებულებებში, 2016/2017 აკადემიური წლის განმავლობაში სტუდენტების, მკვლევარების და ლექტორების მიღებას.

აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული სტიპენდიის მისაღებად საჭიროა „ონლაინ" რეჟიმში ელექტრონული აპლიკაციის შეტანა და გაგზავნა, არაუგვიანეს მიმდინარე წლის 30 აპრილისა (ცენტრალური ევროპული დროით, 16.00 საათამდე), რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: www.schularships.sk, სლოვაკურ, ინგლისურ, რუსულ, ფრანგული და ესპანურ ენებზე. ამავე გვერდზე შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის მოძიება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სლოვაკეთის რესპუბლიკის ეროვნული სასტიპენდიო პროგრამა შექმნილია სტუდენტების, დოქტორანტების, მკვლევარების და ლექტორების მობილურობის მხარდასაჭერად და იგი დამტკიცებულია სლოვაკეთის რესპუბლიკის მთავრობის მიერ, ხოლო სტიპენდიით გათვალისწინებულ ფულად სახსრებს ანაზღაურებს სლოვაკეთის რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, კვლევის და სპორტის სამინისტრო.

აქვე გაცნობებთ, რომ 2016/2017 აკადემიური წლის ზაფხულის სემესტრში სტიპენდიის მიღების მსურველებმა, „ონლაინ" აპლიკაცია უნდა შეავსონ და გააგზავნონ, არაუგვიანეს მიმდინარე წლის 31 ოქტომბრისა.

დანართი: 2 ფურცელი.

პატივისცემით,
ქეთევან კანდელაკი

დეპარტამენტის დირექტორი

საერთაშორისო კულტურულ და ჰუმანიტარულ ურთიერთობათა დეპარტამენტი

0118 თბილისი, შოთა რიცხვიანის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge